



საქართველო
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო
საკრებულოს წევრი
GEORGIA
Rustavi Municipality City Assembly
Member of Assembly

N 16245-02
31/10/2019

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
ქალბატონ სოფიო კარანაძეს

ქალბატონო სოფიო,

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, საქართველოს ორგანული კანონის 88-
ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ
ანგარიშს.

გთხოვთ უზრუნველყოთ ინფორმაციის გამოქვეყნება.


დანართი: 6 ფურცელი

პატივისცემით,

რამაზ გოგობერიშვილი

საკრებულოს წევრი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო



საქართველო
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA
RUSTAVI CITY MUNICIPALITY COUNCIL

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ

გაწეული მუშაობის შესახებ

ა ნ გ ა რ ი შ ი

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი:

რამაზი გოგობერიშვილი

საანგარიშო პერიოდი:

01.11.2018 – 01.11.2019

თანამდებობა:

1. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მე-6 მოწვევის საკრებულოს წევრი;
2. ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეები“-ს წევრი;

კომისი(ებ)ის დასახელება:

1. საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი;

დროებითი სამუშაო ჯგუფები:

1. სპორტისა და ფიზიკური კულტურის საკითხების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი;

❖ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:

საკრებულოს სხდომების რაოდენობა: 26 სხდომა (12 რიგითი, 14 რიგგარეშე);

საკრებულოს სხდომებზე დასწრება: 25 სხდომა;

❖ საკრებულოს სხდომებზე მიღებული სამართლებრივი აქტების რაოდენობა:

74 დადგენილება;

162 განკარგულება;

❖ მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების, ფრაქციებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობა:

ა) კომისიები:

▪ სოციალურ საკითხთა კომისია:

ჩატარდა - 9

სხდომა; დასწრება -

1 სხდომა;

ბ) დროებითი სამუშაო ჯგუფები:

▪ სპორტისა და ფიზიკური კულტურის საკითხების შემსწავლელი

დროებითი სამუშაო ჯგუფი:

ჩატარდა - 1 სხდომა;

▪ ჩართულობა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით მომუშავე სამუშაო ჯგუფებში, კომისიებსა და საბჭოებში:

1) „უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფის და რეგისტრაციის მიზნით შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფი“-ს წევრი;

2) „მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის“ წევრი;

3) ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე დაურეგისტრირებელი ფართების მოქალაქეებისათვის საკუთრებაში გადაცემის ხელშეწყობის მიზნით აღრიცხვის და არსებული მდგომარეობის შესწავლის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრი;

❖ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

- ა) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;
- ბ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცება;
- გ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული პროექტების დამტკიცება;
- დ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების მიზნით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცება და მიწის ნორმატიული ფასის დადგენა.
- ე) სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი 2018 – 2019 წლის ინფრასტრუქტურული პროექტები.

❖ საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა

საქმიანობა:

სისტემატიურად მიმდინარეობდა შეხვედრები ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ მოსახლეობასთან, იკვეთებოდა მათი პრობლემები და მუშავდებოდა გადაჭრის გზები. ამომრჩევლის მოთხოვნებისა და ინიციატივების გათვალისწინებით, ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე განხორციელდა სხვადასხვა პროექტები.

მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით, საკრებულოსა და მერიასთან მჭიდრო თანამშრომლობით, დადებითად გადაიჭრა ბევრი საკითხი: დაიგო გზის საფარი შემდეგ ქუჩებზე: ნ. ნიკოლაძის ქუჩა, დ. გარეჯის ქ. N1, რუსთაველის I გასასვლელი, ქაშაკაშვილის ჩიხი, რუსთაველის ქ. N39. მოეწყო ქიმიკოსთან კულტურის სახლის სკვერი; შეკეთდა რუსთაველის ქ. N21, დ. გარეჯის 1. N21, ასლანიკაშვილის ქ. N19 ავარიული კორპუსები (აივნები).

აგრეთვე, მოეწყო სპორტული მოედნები შემდეგ მისამართებზე: რუსთაველის ქ. N50, ნ. ნიკოლაძის ქ. N7, N9 და N16. მოეწყო N3 საჯარო სკოლის სპორტული დარბაზი; გადაიხურა ბალანჩივაძის ქ. N10 და დ. გარეჯის ჩიხის N4 კორპუსები; N9 საჯარო სკოლაში გამოიცვალა სველი წერტილები; რეაბილიტაცია ჩაუტარდა: N8 ბაგა-ბაღს. ჩემი ინიციატივით ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე არსებულ სკოლებში ჩატარდა შეჯიბრი კალათბურთში.

სადღესასწაულო ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით 28 მრავალშვილიან და 8 ვეტერანის ოჯახს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით გადაეცა 36 სასაჩუქრე პაკეტი; პარლამენტის მაჟორიტარის ბიუროს წარმომადგენლებთან ერთად საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოვინახულეთ 2 ვეტერანის ოჯახი და გადავეცით სააღდგომო საჩუქარი; დედის დღესთან დაკავშირებით 34 ოჯახს გადავეცით სასაჩუქრე პაკეტი; ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით დავასაჩუქრეთ 103 ბავშვი; აქტიურად ვიყავი ჩართული 26 მაისისა და რუსთაველაქობის დღესასწაულების აღმნიშვნელ ღონისძიებებში.

პერიოდულად ვამოწმებთ (თვეში ერთხელ) ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე მცხოვრები შშმ პირებისა და რეინტეგრირებულ ბავშვთა ოჯახებს მათი საცხოვრებელი მისამართის მიხედვით, რის შესახებაც აქტი კვარტალში ერთხელ ეგზავნება შესაბამის სამსახურს.

საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემის ხელშეწყობის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის დავალებით შევისწავლეთ ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, ყოფილ საერთო საცხოვრებლებში მცხოვრებ მოქალაქეთა არაპრივატიზებული ფართების მდგომარეობა; სოციალურ საცხოვრისთან დაკავშირებით მისამართების მიხედვით შევისწავლეთ 21 ბენეფიციარის

სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა, სოციალური საცხოვრისით დაკმაყოფილდა 6 მათგანი. მერიის სამსახურებთან ერთად მონაწილეობა მივიღე ქალაქ რუსთავის გამწვანების აქციებში, რომლის ფარგლებშიც მოსახლეობასთან ერთად დაირგა 50 ნერგი. სოციალურად დაუცველ რამდენიმე ოჯახს უფასოდ გადაეცა შეშა, გადაიბელა და შეიკვეცა დაზიანებული ხის ტოტები, გაიწმინდა და დაიხურა სანიაღვრე და საკანალიზაციო ქები (ბათუმის ქ. ნ. ნიკოლაძის ქ. მაიაკოვსკის ქ. დ. გარეჯის ქ. და სხვა).

ჩემთვის, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობა, რათა ნიჭიერმა ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. ამ მიზნით პერიოდულად მაქვს შეხვედრები ქალაქ რუსთავის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან. გადახალისდა რუსთავის საკალათბურთო კლუბი, რომელიც განაგრძობს ბრძოლას უმაღლეს ლიგაში. ამისთვის კი ადგილობრივი ბიუჯეტიდან მოზიდულ იქნა გარკვეული ფინანსური სახსრები, რაც კლუბის წარმატების საწინდარია.

საკრებულოს სპორტისა და ფიზიკური კულტურის საკითხების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში ჩატარდა შეხვედრა, რომელზეც ჯგუფის წევრები ერთხმად შევთანხმდით ქალაქ რუსთავის ექვსი საჯარო სკოლისთვის მინი სპორტული დარბაზების ინფრასტრუქტურულ მოწყობაზე. ამასთანავე, დაიგეგმა სპორტის პედაგოგების ტრენინგ-გადამზადება.

საკრებულოს წევრის საქმიანობა წარიმართება საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2014 წლის 4 აგვისტოს N1 დადგენილებით დამტკიცებული „რეგლამენტი“ და სხვა ნორმატიული აქტებით.

მე, როგორც ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მე-6 მოწვევის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი კვლავ გავაგრძელებ აქტიურ მუშაობას ქალაქისა და მოსახლეობისთვის პრიორიტეტულ საკითხებზე.